

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №225

2013 წლის 4 სექტემბერი

ქ.თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) დებულების დამტკიცებისა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის №137 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) დებულების დამტკიცებისა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის №137 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 18/04/2012, სარეგისტრაციო კოდი: 0102200-20.10.003.016810) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭო და განისაზღვროს მასში ხმის უფლების მქონე პირები შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.“.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ხმის უფლების მქონე 7 წევრისაგან, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა;“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ხმის უფლების მქონე წევრები არიან:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

დ) საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

ე) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;



ვ) სამოქალაქო (არასამთავრობო) საზოგადოების ერთი წარმომადგენელი, რომელიც შეირჩევა „MCC“სთან შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად;

ზ) კერძო სექტორის ერთი წარმომადგენელი, რომელიც შეირჩევა „MCC“სთან შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად.“.

## **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი**

**ბიძინა ივანიშვილი**

